თბილისელები ამარცხებენ ლიდერს

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 11 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (კიევი) 3:1 (1:1).

თბილისი: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (თავაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია (კაკილაშვილი), შენგელია.

კიევი: მიხაილოვი, კონკოვი, სოროკალეტი, ჟურავლიოვი, ბესონოვი, ლოზნისკი, ბურიაკი (დუმანსკი), ხლუსი, ბალი, ვერემეევი (ევტუშენკო), ბლოხინი.

მსაჯი: ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

მაყურებელი – 58.000.

ისეთი მნიშვნელობის მატჩი, როგორიც გუშინწინ შედგა ჩვენს სტადიონზე, სულ ორი–სამია ხოლმე მთელი სეზონის განმავლობაში. ჩემპიონატის ელიტის წარმომადგენელთა შეხვედრა მუდამ გარკვეული ეტაპობრივი მნიშვნელობისაა ხოლმე, ამას გარდა, როცა მინდორზე ერთდროულად გამოდის უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა ასეთი დიდი რაოდენობა, როცა საქმე ეხება ამ კვალიფიკაციის გუნდებს შორის პრიორიტეტის მოპოვებას, თუნდაც მარტო ერთ რომელიმე გარკვეულ მატჩში, ფიქრიც კი არ შეიძლება რაიმე სპორტულ დანდობაზე. პრესტიჟის შესანარჩუნებლად, საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად მოპირდაპირე მხარეები მაქსიმალურად აკეთებენ ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ, და ზოგჯერ – ცოტა მეტსაც კი.

მას შემდეგ, რაც კიევის "დინამო" ეს უკვე 20 წელზე მეტია საბჭოთ ფეხბურთის ლიდერი გახდა, მან საგრძნობლად "ამოქაჩა" თავისი უარყოფითი ბალანსი თბილისის თანაკლუბელებთან შეხვედრებში, მინიმუმამდე დაიყვანა განსხვავება და ახლა ყოველი მატჩის შედეგს განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, თუ ვინ დაწინაურდება ამ ორი გუნდის საინტერესო "მინი–ტურნირებში". გუშინწინ, როგორც იცით, თბილისელებმა გაიმარჯვეს და ახლა კიეველებს 2 მოგებით უსწრებენ.

იყო თუ არა რამე კომპრომისი ერთ–ერთი რომელიმე მხარის მხრივ ამ მეტად საყურადღებო, მნიშვნელოვან, ძალზე შინაარსიან და დაძაბულ მატჩში ძველ მეტოქეთა შორის?

არავითარი. იოტის ოდენიც კი. ისე, როგორც 11 ოქტომბერს იბრძოლეს ერთმანეთთან თბილისისა და კიევის დინამოელებმა, იბრძვიან მარტოოდენ ფინალურ, პრინციპულ მატჩებში, სადაც უკიდურესად საპატიო პრიზის მოპოვების საქმე წყდება ხოლმე. ასეთი თამაში დიდი ხანია არ გვინახავს, ევროპული თასის ორმა მფლობელმა – ძველმაც და ახალმაც – მთელი თავისი მდიდარი შესაძლებლობანი გამოავლინა, თანამედროვე ფეხბურთის უმაღლესი კლასი აჩვენა და თუ მაყურებელს გულში ცოტაოდენი ხინჯი დარჩა მინდორზე მომხდარი ინციდენტების გამო, ეს უპირველეს ყოვლისა მსაჯის ბრალია, მაგრამ ამაზე – ქვემოთ.

მატჩის პირველი 10–15 წუთი კიეველებმა გარკვეული უპირატესობით ითამაშეს. აქ იყო ყველაფერი, რითაც ეს პირველხარისხოვანი, მეტად საინტერესო გუნდი გამოირჩევა: უდიდესი მობილურობა, ბრძოლისუნარიანობა, განუწყვეტელი, სინქრონული მოძრაობა მთელს მინდორზე, შემუშავებული, "ნარეპეტიციევი" ბურთის გათამაშებაც და სწრაფი, იქვე შეთხზული იმპროვიზაციებიც, გულდასმით კოორდინირებული დაცვაც და მეტად აგრესიული შეტევებიც.

ერთი სიტყვით, ეს იყო კიევის "დინამო" ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ პერიოდში მიაღწიეს წარმატებას სტუმრებმა. გაბელიამ

ზედიზედ მოიგერია რამდენიმე ძნელი ბურთი, მე–11 წუთზე კი ვერემეევმა მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური, გაბელია არ გამოვიდა წინ, ვერც მცველებმა ითამაშეს ისე, როგორც საჭიროა და ბალმა 5–6 მეტრის მანძილიდან თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში – 1:0.

ეს, თითქოს, სიგნალი იყო: თბილისელებმა მაშინვე, დაუყოვნებლივ მოუმატეს თამაშს, გააძლიერეს ტემპი და კიეველთა შეტევისა და დაცვის მონაცვლეობა სულ მალე შეიცვალა დაცვის იძულებითი პრიორიტეტის თვალსაზრისით. მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო იერიში წარმართეს, განსაკუთრებით ეფექტური იყო ხიზანიშვილისა და შენგელიას კომბინაცია, რომლის შემდეგ ბურთი სულ ოდნავ აცდა მიზანს.

ანგარიში გათანაბრდა მე–18 წუთზე. სტუმრების მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე აშკარად აკრძალული ხერხით წააქციეს ჟვანია. მსაჯმა პენალტის წერტილისკენ აჩვენა და შენგელიამაც ზუსტად დაარტყა – 1:1.

კიეველი ფეხბურთელები შესვენების შემდეგაც ყოველ შესაძლებელ ვითარებაში ცდილობდნენ თამაშის გააქტიურებას. უსაქმოდ არ დარჩენილა მეკარე გაბელია, ხიზანიშვილს, ჩივაძეს, ხინჩაგაშვილს და მუჯირს სრული ძალით დასჭირდათ ბრძოლა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩივაძე). დარასელიას, სვანაძეს და სულაქველიძეს მთელ მინდორზე უხდებოდათ თამაში, დაცვის დახმარებაც და თავდასხმის მიშველიებაც, ხოლო გუცაევი, შენგელია, ჟვანია, შემდგომში კი – კაკილაშვილი, მრავალპლანიან მუშობას ეწეოდნენ შეტევის ავანპოსტზე, მაგრამ საერთო უპირატესობა, ინიციატივა, თამაშის სადავეები მეორე ტაიმში, უდავოდ, თბილისის "დინამოს" ეპყრა ხელთ. კიეველებს აშკარად უჭირდათ მეტოქის იერიშების მოგერიება. ასეთი სიმძიმე, ჩვენი აზრით, ლიდერს კარგა ხანია არ გადაუტანია.

თუმცა, გადაიტანა კი? დროდადრო მთელი თამაში სტუმრების კართან მიმდინარეობდა. მცველებს ზოგჯერ საჯარიმო მოედნიდანაც კი უჭირდათ ბურთის გამოტანა, მაგრამ 78–ე წუთზე გუცაევისა და კაკილაშვილის სწრაფი, კარგად მოფიქრებული კომბინაციის წინაშე უძლური აღმოჩნდნენ ყველანი, მათ შორის მეკარე მიხაილოვიც: წამში გათამაშებული ბურთი ოსტატურად გაიტანა კაკილაშვილმა – 2:1.

მატჩის დამთავრებას 12 წუთი აკლდა. ამ 12 წუთში კიდევ ბევრი რამ შეეძლო გადაეწყვიტა როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს, ცდა არც ერთ მხარეს არ დაუკლია, ბრძოლის სიმწვავემ აპოგეას მიაღწია და საქმე საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ კიეველებმა მატჩის ბოლო წუთზე აკრძალული ილეთით წააქციეს შენგელია საკუთრ საჯარიმო მოედანზე. კვლავ პენალტი!

პრაქტიკულად ყველაფერი მოთავებული იყო – თბილისის "დინამოს" მატჩი უკვე მოგებული ჰქონდა, საკითხი მხოლოდ ანგარიშს ეხებოდა – 2:1 თუ 3:1 (ცნობისათვის შეგახსენებთ, რომ 2–ბურთიანი სხვაობით თბილისელებს კიევის "დინამოსთვის" არ მოუგიათ 1969 წლის შემდეგ), რა თქმა უნდა, ჯობდა 3:1 – ამიტომ შენგელიამ ეს პენალტიც გაიტანა, დამაჯერებელი ანგარიშის საქმეც გაანაღდა და მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზის მოპოვების შანსიც გაიუმჯობესა.

ვიმეორებ, მატჩი იყო უკიდურესად დაძაბული, ძალზე საინტერესო, შინაარსიანი და გაიმარჯვა მან, ვინც უკეთ ითამაშა.

ახლა ორიოდე სიტყვა მსაჯობაზე. ო. ჩინენოვი გამოცდილი არბიტრია, კარგად იცოდა რა დიდმნიშვნელოვან მატჩს ჰკიდებდა ხელს, ამიტომ მით უფრო გასაოცარია ის სისტემატური უხეში შეცდომები, რომლებიც დაუშვა ამ დღეს. ახლა საერთაშორისო ფეხბურთში გადაჭრით ებრძვიან უხეშობას, განსაკუთრებით განზრახ ჩადენილ უხეშობას, უნებისყოფობისა და

ლიბერალობისათვის არაერთი მსაჯი დაისაჯა, ო. ჩინენოვი კი გულდამშვიდებით, აუღელვებლად უცქერდა წესრიგის იმ დარღვევებს, რაც მინდორზე ხდებოდა. ეტყობა, მას "დაავიწყდა", რომ ჯიბეში ედო ყვითელი ბარათი, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა მინდორზე წესრიგის დასაცავად და მატჩის ნორმალურ ვითარებაში ჩასატარებლად. ასეთი ანბანური ამბავი ჩინენოვის კატეგორიის მსაჯმა კარგად უნდა იცოდეს. ამიტომ, სწორად მოიქცა მსაჯთა გამსინჯავი კომისია, როცა სათანადო ოქმით აღნიშნა მსაჯის უუნარობა და მიუტევებელი შეცდომები.

ბ. ქორქია.
"ლელო", 13 ოქტომბერი 1981 წ.